სს საქართველოს რკინიგზა

ტრანსკასპიური დერეფანი - საქართველოს რეგიონული ხელმისაწვდომობისა და ტრანსპორტის გაუმჯობესების პროექტი (P513957)

გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა (ESCP)

შეფასების პროექტი

აპრილი 2026

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა

1. მსესხებელი უზრუნველყოფს „ტრანსკასპიური დერეფანი - საქართველოს ხელმისაწვდომობისა და ტრანსპორტის განვითარების პროექტის“ (შემდგომში — „პროექტი“) განხორციელებას საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა (შემდგომში — „საგზაო დეპარტამენტი“) და სს „საქართველოს რკინიგზის“ (შემდგომში — „რკინიგზა“) მონაწილეობით, სასესხო ხელშეკრულებით (შემდგომში — „ხელშეკრულება“) დადგენილი წესით. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (შემდგომში — „ბანკი“) თანახმაა გასცეს პროექტის დაფინანსება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის განხორციელება გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESSs) და წინამდებარე „გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმის“ (ESCP) შესაბამისად, ბანკისათვის მისაღები ფორმით. ESCP წარმოადგენს სასესხო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. თუ წინამდებარე დოკუმენტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ESCP-ში გამოყენებულ ტერმინებს (დიდი ასოებით) გააჩნიათ ხელშეკრულებით მინიჭებული მნიშვნელობა.

3. ზემოაღნიშნული შეზღუდვის გარდა, წინამდებარე ESCP განსაზღვრავს არსებით ღონისძიებებსა და ქმედებებს, რომლებიც მსესხებელმა უნდა განახორციელოს ან უზრუნველყოს მათი შესრულება, მათ შორის: შესაბამისი ვადები; ინსტიტუციური, საკადრო, ტრენინგის, მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმები; და საჩივრების მართვა. ESCP ასევე განსაზღვრავს იმ გარემოსდაცვით და სოციალურ (E&S) დოკუმენტაციას, რომელიც უნდა მომზადდეს ან განახლდეს, იქნეს კონსულტირებული, გასაჯაროვდეს და დაინერგოს პროექტის ფარგლებში ESS სტანდარტების შესაბამისად, ბანკისათვის მისაღები ფორმითა და შინაარსით. აღნიშნული E&S დოკუმენტები შესაძლოა დროთა განმავლობაში გადაიხედოს ბანკთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. სასესხო ხელშეკრულების თანახმად, მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს ESCP-ის იმპლემენტაციისთვის საჭირო ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

4. ბანკსა და მსესხებელს შორის შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ESCP შესაძლოა დაექვემდებაროს პერიოდულ გადახედვას, რათა აისახოს პროექტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისი მართვა, გაუთვალისწინებელი გარემოებები ან რეაგირება პროექტის მიმდინარეობის მაჩვენებლებზე. ასეთ შემთხვევაში, ბანკი და მსესხებელი თანხმდებიან ESCP-ის განახლებაზე, რაც ფორმდება ბანკსა და სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრულ მსესხებლის წარმომადგენელს შორის წერილების გაცვლის გზით. მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ განახორციელოს განახლებული ESCP-ის გასაჯაროება.

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

5. ქვემოთ მოცემული ქვეთავი — „იმპლემენტაციის მზაობის ინდიკატორები“ — განსაზღვრავს იმ ქმედებებსა და ღონისძიებებს, რომელთა მონიტორინგიც აუცილებელია პროექტის განხორციელების დაწყების მზაობის შესაფასებლად. მიუხედავად ამისა, ESCP-ით გათვალისწინებული ყველა ქმედება და ღონისძიება უნდა განხორციელდეს ქვემოთ მოცემულ სვეტში — „ვადები“ — მითითებულ პერიოდებში, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი შეყვანილი აღნიშნულ ქვეთავში.

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	არსებითი ღონისძიებები და ქმედებები	**ვადები**	**პასუხისმგებელი პირი/ორგანო**
ინსტ.შესაძლებლობების რეალიზაცია და მხარდაჭერის მექანიზმები			
A	ორგანიზაციული სტრუქტურა • პროექტის ნაწილი 1-ის განხორციელების პროცესში, უზრუნველყოს მინიმუმ ერთი კვალიფიციური გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტის აყვანა/დასაქმება გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს (ESF) მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.	*დაინიშნოს ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 30 დღისა და შენარჩუნდეს პროექტის ნაწილი 1-ის განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
B	ინსტიტუციური გაძლიერების გეგმა/ღონისძიებები პროექტის ფარგლებში უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს შემდეგი ინსტიტუციური გაძლიერების ღონისძიებები: • პროექტზე დასაქმებულ თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების (OHS) საკითხებზე. • ყველა თანამშრომლისა და თემის წევრისთვის განხორციელდეს ცნობიერების ამაღლება სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის/სექსუალური შევიწროების (SEA/SH) რისკებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.	*კვარტალში ერთხელ და ყოველი ახალი თანამშრომლის დანიშვნისას.* *წელიწადში ერთხელ და ყოველი ახალი თანამშრომლის დანიშვნისას.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
მონიტორინგი და ანგარიშგება			

არსებითი ღონისძიებები და ქმედებები		**ვადები**	**პასუხისმგებელი პირი/ორგანო**
C	**რეგულარული ანგარიშგება** პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების (E&S) მოთხოვნების შესრულების შესახებ რეგულარული მონიტორინგის ანგარიშები უნდა მომზადდეს და წარედგინოს ბანკს. აღნიშნული ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: • ESCP-ით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტების მომზადებისა და იმპლემენტაციის თაობაზე ინფორმაციას; • დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისა და აქტივობების თაობაზე ინფორმაციას; • საჩივრების განხილვის მექანიზმის ფარგლებში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, რეესტრს და ხსენებული საჩივრების განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე ინფორმაციას; • კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების გარემოსდაცვითი და სოციალური გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაციას, მათ შორის, ზედამხედველი კომპანიის მიერ კონტრაქტორის ინსპექტირების პროცესში მომზადებულ ყოველთვიურ ანგარიშებში მოცემულ საკითხებს; • ინციდენტებისა და ავარიების, რაოდენობასა და გადაწყვეტის/რეგიარების სტატუსზე ინფორმაციას.	*ბანკს წარედგინოს კვარტალური ანგარიშები პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე, ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ. კვარტლური ანგარიშები ბანკს წარედგინოს თითოეული საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 დღისა.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
D	**კონტრაქტორების ყოველთვიური ანგარიშები** მოეთხოვოს კონტრაქტორებსა და ზედამხედველ ფირმებს E&S შესრულების ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშების წარდგენა შესაბამის სატენდერო დოკუმენტებსა და კონტრაქტებში მითითებული მაჩვენებლების შესაბამისად და ასეთი ანგარიშები წარედგინოს ბანკს.	*საზედამხედველო კომპანი(ებ)ის ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა ბანკისთვის უნდა განხორციელდეს რეგულარულად (ყოველთვიურად), ხოლო კონტრაქტორი კომპანი(ებ)ის - ბანკის მიერ*	სს „საქართველოს რკინიგზა“

არსებითი ღონისძიებები და ქმედებები		**ვადები**	**პასუხისმგებელი პირი/ორგანო**
		მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის კომპანი(ებ)ასთან კონტრაქტის ხელმოწერის დღიდან.	
E	**ინციდენტები და ავარიები** ბანკს ეცნობოს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინციდენტის ან ავარიის შესახებ, რომელსაც აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე, საზოგადოებაზე ან დასაქმებულ პირებზე. მათ შორის ისეთი შემთხვევებზე, რომლებიც დაკავშირებულია დასაქმებულ პირ(ებ)ის ან/და საზოგადოების წევრ(ებ)ის მძიმე დაზიანებასთან, გარდაცვალებასთან, ძალადობის, დისკრიმინაციის ან საპროტესტო აქტებთან; კულტურული მემკვიდრეობის ან ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე გაუთვალისწინებელ ზემოქმედებასთან. გარემოს დაბინძურებასთან; კაშხლის მწყობრიდან გამოსვლასთან; იძულებით ან ბავშვთა შრომის შემთხვევასთან; სათანადო პროცედურის გარეშე გადაადგილებასთან (იძულებითი გამოსახლება); სექსუალური ექსპლუატაციის ან ძალადობის (SEA) ან სექსუალური შევიწროების (SH) ბრალდებასთან; ან დაავადების გავრცელებასთან. ბანკის მოთხოვნისამებრ წარედგინოს ინციდენტის ან ავარიის შესახებ არსებული დეტალები. მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს ინციდენტის ან ავარიის სათანადო მოკვლევა მისი უშუალო, ძირეული და ფუნდამენტური მიზეზების დასადგენად. მომზადდეს, შეთანხმდეს ბანკთან და განხორციელდეს მაკორექტირებელი ქმედებების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ინციდენტის ან ავარიის აღმოფხვრისა და მისი განმეორების თავიდან აცილების ღონისძიებებსა და ქმედებებს.	*ბანკს ეცნობოს ინციდენტის ან ავარიის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში. არსებული დეტალები წარედგინოს მოთხოვნისამებრ.* *განხილვის ანგარიში და მაკორექტირებელი ქმედებების გეგმა ბანკს წარედგინოს თავდაპირველი შეტყობინების წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ ბანკის მიერ წერილობით სხვა ვადა არ არის შეთანხმებული.* *მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს ინციდენტებისა და ავარიების შესახებ შეტყობინებისა და ანგარიშგების სისტემის უწყვეტი ფუნქციონირება პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
ESS 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა			

არსებითი ღონისძიებები და ქმედებები		**ვადები**	**პასუხისმგებელი პირი/ორგანო**
1.1	**გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვის გეგმები** ახალი ლოკომოტივების დეპოებისა და ახალი ელექტრო ქვესადგურების მოწყობა/მშენებლობის პროექტის ფარგლებში მომზადდეს, გამოქვეყნდეს, და დაინერგოს ESS-ების შესაბამისად მომზადებული და ბანკთან შეთანხმებული ადგილ-სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმები (ESMPs).	*მომზადდეს, გამოქვეყნდეს და დაინტერესებულ მხარეებს გაეცნოს - ტენდერის გამოცხადებამდე, ხოლო განხორციელდეს სამუშაოების მიმდინარეობისას.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
1.2	**კონტრაქტორების მართვა** უზრუნველყოს გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმის (ESCP) შესაბამისი ასპექტების, მათ შორის ESIA ანგარიშების, შრომითი რესურსების მართვის პროცედურებისა და ქცევის კოდექსის გათვალისწინება. შესყიდვების პროცედურებში, მათ შორის დოკუმენტებსა და კონტრაქტორებთან/ზედამხედველ კომპანიებთან გაფორმებულ კონტრაქტებსა და ხელშეკრულებებში აისახოს ხსენებული საკითხები გარემოსდაცვით და სოციალურ სპეციფიკაციებში/ვალდებულებებში.	*E&S და LMP მოთხოვნები ასახულ იქნეს სატენდერო დოკუმენტებში სამუშაოების მომსახურების შესყიდვამდე და შესაბამისი ტენდერის გამოცხადებამდე.* *კონტრაქტორებსა და ზედამხედველ კომპანიებს დაევალოს დაიცვან გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ვალდებულებები კონტრაქტის/ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.* *კონტრაქტების/ხელშეკრულების ასლები წარედგინოს ბანკს მოთხოვნისამებრ.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
1.3	**ტექნიკური დახმარება** პროექტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს კონსულტაციები, კვლევები, ინსტიტუციური გაძლიერების ღონისძიებები, ტრენინგები და სხვა ტექნიკური დახმარების (TA) აქტივობები ბანკისთვის მისაღები ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება შესაბამის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს (ESS).	*ტექნიკური დახმარების (TA) დაწყებამდე, ტექნიკურ დავალებაში (TOR) უნდა განხორციელდეს შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობის*	სს „საქართველოს რკინიგზა“

არსებითი ღონისძიებები და ქმედებები		**ვადები**	**პასუხისმგებელი პირი/ორგანო**
	ამის თაობაზე, აღნიშნული აქტივობების შედეგები უნდა მომზადდეს, შეფასდეს და დასრულდეს ტექნიკური დავალების (TOR) მოთხოვნების შესაბამისად.	*პირობების გათვალისწინება. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, ტექნიკური დავალებისა და ხსენებული მოთხოვნების სრული შესაბამისობა - პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.*	
ESS 2: შრომითი და სამუშაო პირობები			
2.1	**შრომის მართვის პროცედურები** მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს შრომითი რესურსების მართვის პროცედურების მომზადება, დასრულება და იმპლემენტაცია - გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის ESS2-ისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.	*უზრუნველყოფილ იქნეს შრომითი რესურსების მართვის პროცედურის შემუშავება და დასრულება, ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 30 კალენდაური დღის ვადისა, იმპლემენტაცია განხორციელდეს პროექტის სრული ციკლის განმავლობაში.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
2.2	**შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OHS) მართვის გეგმა** დაევალოს კონტრაქტორებს და დაეკისროთ მათ ვალდებულება, უზრუნველყონ თავიანთი ქვეკონტრაქტორების მიერ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის (OHS) მართვის გეგმების მომზადება და იმპლემენტაცია, შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმებისა (ESMPs) და მათი კონტრაქტების ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად.	*პრეტენდენტებს მოეთხოვოთ მათ სატენდერო წინადადებებში გაითვალისწინონ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის (OHS)მართვის პრინციპები, ხოლო შერჩეულ კონტრაქტორებს დაევალოთ დეტალური შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის (OHS) მართვის გეგმების შემუშავება და იმპლემენტაცია, რომელიც დააკმაყოფილებს ზედამხედველი კომპანიისა და*	სს „საქართველოს რკინიგზა“

არსებითი ღონისძიებები და ქმედებები		**ვადები**	**პასუხისმგებელი პირი/ორგანო**
		დამკვეთის მოთხოვნებს - პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.	
2.3	**პროექტის ფარგლებში დასაქმებული პერსონალის საჩივრების განხილვის მექანიზმი** • პროექტის ფარგლებში დასაქმებული პერსონალისთვის მომზადდეს საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) - შრომითი რესურსების მართვის პროცედურებისა (LMP) და ESS2-ის მოთხოვნების შესაბამისად.	*პროექტში დასაქმებულების ჩართვამდე მომზადდეს საჩივრების განხილვის მექანიზმი, ამის შემდეგ შენარჩუნდეს და ეფექტურად დაინერგოს - პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
ESS 3: რესურსეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა			
3.1	**ნარჩენების მართვა** ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვება ეროვნული კანონმდებლობითა და ESS3 სტანდარტით, გათვალისწინებულ იქნეს ადგილ-სპეციფიკურ გარემოსდაცვით და სოციალურ გეგმებში (ESMP), ხსენებული ვალდებულებების შესრულება დაევალოს პროექტის კონტრაქტორ კომპანია(ებ)საც. სამშენებლო სამუშაოების, კერძოდ სარკინიგზო ხაზის განახლების პროცესში მკაცრად იქნეს დაცული ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობითა და ESS3-ით გათვალისწინებული ნორმები.	*ნარჩენების მართვის მოთხოვნები ასახულ იქნეს სატენდერო დოკუმენტებში სამუშაოების ტენდერის გამოცხადებამდე და აღსრულდეს კონტრაქტის მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე.* *სარკინიგზო ხაზის განახლების მთელი პერიოდის მანძილზე.*	სს „საქართველოს რკინიგზა“

არსებითი ღონისძიებები და ქმედებები		**ვადები**	**პასუხისმგებელი პირი/ორგანო**
3.2	**რესურსეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა** განხორციელდეს რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და დაბინძურების პრევენცია/მართვის ზომების ინტეგრაცია ESMP-ში, რომლის მომზადებაც სავალდებულოა ზემოთ აღნიშნულ 1.1 პუნქტის ფარგლებში.	*იგივე ვადები, რაც ESMP-ების მომზადებისა და განხორციელებისთვის.* *კონტრაქტის მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
ESS 4: თემის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება			
4.1	**საგზაო მოძრაობის და საგზაო უსაფრთხოება** ზემოთ აღნიშნული ქმედება 1.1-ის ფარგლებში მოსამზადებელ ESMP-ში ასახულ იქნეს საგზაო მოძრაობისა და საგზაო უსაფრთხოების რისკების მართვის ღონისძიებები.	*იგივე ვადები, რაც ESMP-ების მომზადებისა და განხორციელებისთვის.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
4.2	**საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება** პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, საზოგადოებისთვის მოსალოდნელი კონკრეტული რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, სამშენებლო ტექნიკისა და აღჭურვილობის გადაადგილება, ხმაურის, მტვრის და ემისიების გავრცელება. ადგილობრივი გზების, ღობეების და სხვა ქონების შემთხვევითი დაზიანება. სამუშაო ძალის შემოდინება, პროექტზე დასაქმებული პერსონალის ქცევა და სხვა თანმხლები ფაქტორები.	*იგივე ვადები, რაც ESMP-ების მომზადებისა და განხორციელებისთვის.* *კონტრაქტორ(ებ)ი ვალდებულია მობილიზაციის ეტაპზე შეიმუშაონ ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმები, უზრუნველყონ მათი იმპლემენტაცია პროექტის განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში.*	სს „საქართველოს რკინიგზა“

არსებითი ღონისძიებები და ქმედებები		**ვადები**	**პასუხისმგებელი პირი/ორგანო**
4.3	**სექსუალურ ექსპლუატაციასთან და ძალადობასთან/სექსუალურ შევიწროებასთან (SEA/SH) დაკავშირებული რისკები** SEA/SH-სთან (სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა/სექსუალური შევიწროება) დაკავშირებული რისკების პრევენციისა და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მიღებულ იქნეს LMP-ით გათვალისწინებული ყველა ზომა. კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები ვალდებულნი არიან შეიმუშაონ და დაიცვან ქცევის კოდექსი, ყველა თანამშრომლისთვის შექმნან და აამოქმედონ SEA/SH-სთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის მექანიზმი, ასევე ჩაატარონ ამ კუთხით ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, ყველა თანამშრომლისა და საზოგადოების წევრებისთვის ხსენებულ რისკებზე და მათი მართვისა და შერბილების ღონისძიებებზე.	*სამუშაოებზე შესაბამისი ტენდერის გამოცხადებამდე, სატენდერო დოკუმენტაციაში უნდა გაიწეროს SEA/SH-სთან დაკავშირებული რისკების პრევენციისა და მართვის ვალდებულებები/მოთხოვნები.* *კონტრაქტორ(ებ)ის ვალდებულნი არიან დაიცვან ქცევის კოდექსის მოთხოვნები, უზრუნველყონ საჩივრების განხილვის მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება და პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ჩატარება.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
4.4	**უსაფრთხოების მართვა** უნდა განხორციელდეს პროექტის განხორციელების პროცესში, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და განისაზღვროს შესაბამისი მართვის ღონისძიებები. რაც ასევე მოიცავს, პროექტის დაცვის უზრუნველყოფას, ESMP-ში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.	*იგივე ვადები, რაც ESMP-ების მომზადებისა და განხორციელებისთვის.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
ESS 7: ადგილობრივი მოსახლეობა/საჰარის სამხრეთ აფრიკის რეგიონისა და ისტორიულად არაუზრუნველყოფილი ტრადიციული ადგილობრივი თემები			
ეს სტანდარტი არ შეესაბამება პროექტს.			
ESS 8: კულტურული მემკვიდრეობა			

არსებითი ღონისძიებები და ქმედებები		**ვადები**	**პასუხისმგებელი პირი/ორგანო**
8.2	**შემთხვევითი აღმოჩენები** ESIA ანგარიშებსა და თანდართულ დამკვეთის ESMP-ებში, შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურების აღწერა და განხორციელება. კონტრაქტორები ვალდებულნი არიან, შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევაში, განახორციელონ დამკვეთის ESMP-თა და ESS8-ს მოთხოვნებით განსაზღვრული პროცედურები.	*იგივე ვადები, რაც გსმგ-ების მომზადებისა და განხორციელებისთვის.* *შემთხვევითი აღმოჩენების მართვის პროცედურები ასახულ იქნეს სატენდერო დოკუმენტებში სამუშაოების ტენდერის გამოცხადებამდე და მონიტორინგი გაეწიოს ამ პროცედურების შესრულებას პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე.*	სს „საქართველოს რკინიგზა“
ESS 9: ფინანსური შუამავლები			
ეს სტანდარტი პროექტისთვის შესაბამისი არ არის.			
ESS 10: დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა და ინფორმაციის გამჟღავნება			

არსებითი ღონისძიებები და ქმედებები		**ვადები**	**პასუხისმგებელი პირი/ორგანო**
10.2	**დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროექტის ნაწილი 1-ისთვის** პროექტის განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და ინფორმაციის საჯაროობის (გამჟღავნების) ღონისძიებათა ინტეგრირება ESS10 სტანდარტის შესაბამისად. ამ მიზნით, გატარდეს შემდეგი ზომები: • დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება: მოხდეს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება და განხორციელდეს საინფორმაციო-შემეცნებითი საქმიანობა პროექტის სიკეთეებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; • ინფორმაციის მიწოდება: დაინტერესებულ მხარეებს დროულად, გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმითა და ფორმატით მიეწოდოთ ინფორმაცია პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და მოსალოდნელი ზემოქმედების თაობაზე; • კონსულტაციების წარმოება: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების წარიმართოს კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველგვარი მანიპულაციის, ჩარევის, იძულების, დისკრიმინაციის და დაშინების გარეშე; • ანგარიშგება და დადოკუმენტირება: შესაბამის პერიოდულ ანგარიშებში აისახოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობები, მათ შორის: (i) დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება; (ii) გასაჯაროებული ინფორმაცია; (iii) გამოყენებული საკონსულტაციო მექანიზმების აღწერა და შეხვედრის ოქმები; (iv) მიღებული უკუკავშირი და მასზე რეაგირების ზომები; (v) სპეციფიკური გარემოებების გამო არახელსაყრელ პირობებში მყოფი მოწყვლადი მხარების ჩართულობის ღონისძიებები; • საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი: ჩამოყალიბდეს, გასაჯაროვდეს და დაინერგოს საჩივრების განხილვის ხელმისაწვდომი მექანიზმი.	*პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე, ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ.*	სს „საქართველოს რკინიგზა“

არსებითი ღონისძიებები და ქმედებები		**ვადები**	**პასუხისმგებელი პირი/ორგანო**
	აღნიშნულმა მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს პროექტთან დაკავშირებული პრეტენზიებისა და საჩივრების ოპერატიული, ეფექტური და გამჭვირვალე გადაჭრა. მექანიზმი უნდა იყოს კულტურულად რელევანტური, უფასო, ყოველგვარი რეპრესიული ზომებისგან დაცული და ხელმისაწვდომი პროექტის ზეგავლენის არეალში მოქცეული ყველა პირისთვის, მათ შორის ანონიმური საჩივრების წარდგენის შესაძლებლობით, ESS10 სტანდარტის მოთხოვნათა სრული დაცვით.		